MES 7 21 0000806078

19/08/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები:

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ **-** ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
7. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
9. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
10. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

11. **მაკამამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
12. **რევაზ აფხაზავა** - კოალიციის განათლება ყველასათვის - საქართველო პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ევროპული სკოლა:
სკოლის დირექტორი - სოფიო ბაზაძე;
სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი - თამარ არაბიძე;
იურისტი - თათია ზარქუა;
იურისტი - მარიამ კაველაშვილი.

შპს მწვანე სკოლა :
სკოლის დირექტორი **-** ბაკურ სულაკაური;
იურისტი - თათია ზარქუა;
სკოლის წარმომოადგენელი - მაკა ჭიაბერაშვილი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა:
სკოლის დირექტორი - ლალი მელივა.

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ევროპული სკოლა:
ხათუნა ბარაბაძე;
მარინე ჯანაშვილი.

შპს მწვანე სკოლა:
ცირა ნიკოლაშვილი;
მაია ინასარიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ

მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 6 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ,,ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N797125 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი საბჭოს წევრის, პეტრე ბაბილუას მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა წარმოადგენდა შპს ევროპული სკოლის მასწავლებელს, ის აღნიშნული საკითის კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას და მან განაცხადა თვითაცილება. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მარინე ჯანაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 09 ივლისს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დისტანციურ ფორმატში, განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი. მისი განმარტებით, მონიტორინგის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 24 მაისის სხდომის ოქმში ასახული გარემოებების საფუძველზე შპს ევროპული სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ევროპული სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს ევროპულ სკოლას უკვე გამოსწორებული ჰქონდა წინა მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზები, კერძოდ: 1. გამოსწორდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის დარღვევის ფაქტი მოსწავლე მ. ჯ. - თან მიმართებით, წარმოდგენილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 04 ივნისის წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ მ. ჯ.-ს უღიარდა უცხოეთში მიღებული განათლება, ხოლო განსხვავებული საგნები, რომელთან შესაბამისობაც ვერ დგინდებოდა, დაძლეული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით; 2. მოწესრიგდა შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები საქმისწარმოების წესის შესაბამისად; 3. შპს ევროპული სკოლის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა ამერიკული უმაღლესი სკოლის (AHS) უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხული ყველა მოსწავლის მშობელის ინფორმირება, პროგრამის ამჟამინდელ სტატუსთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა 68 მოსწავლის მშობლის ხელმოწერილი აქტი; 4. კანონდარღვევით ჩარიცხულ ვაუჩერულ დაფინანსებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი

წერილები ზედმეტად ჩარიცხული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების თაობაზე. ექსპერტის განცხადებით, შპს ევროპული სკოლა ელოდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან წერილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ

.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 15:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ სკოლის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპული სკოლის (ს/კ 205172917) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და მაია ინასარიძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, შპს მწვანე სკოლა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 10 წლის ვადით ფლობდა შენობა-ნაგებობას და 500000.00 კვ.მ მიწის ფართობს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის დროს დაწესებულების მისამართი იყო ტყე კულტურის ქუჩა N3, ტერიტორიაზე ჩატარებული კეთილმოწყობის სამუშაოების შედეგად დამატებით მოეწყო მეორე, საფეხმავლო შესასვლელი ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან. მისი თქმით, დაწესებულებამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართა მისამართის ცვლილების მოთხოვნით და დაწესებულების მისამართი შეიცვალა მიმდინარე წლის 25 ივნისს.

ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში შენობაში ტარდებოდა ინტენსიური სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, სარემონტო სამუშაობის დასრულება და შენობის აღჭურვა სათანადო ინვენტარით მოხდებოდა 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა ღია სივრცეში მოწყობილი გარემო გაკვეთილის ჩასატარებლად. მისი თქმით, ეზოს ფართობი შესაძლებლობას იძლეოდა ერთდროულად რამდენიმე კლასს ჩატარებოდა გაკვეთილი გარე სივრცეში, ისე რომ მათ ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, ლიანა კობესაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით. მისი თქმით, დასკვნაში საუბარი იყო კიბის უჯრედის მოწყობასთან დაკავშირებით და იგულისხმებოდა თუ არა აქ პანდუსის მოწყობის საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, 28 ივნისს ვიზიტის ფარგლებში მოხდა სკოლის შენობის დათვალიერება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კიბის უჯრედის შეცვლა იგეგმებოდა და შესაბამისად, განახლებულ კიბის უჯრედში მოეწყობოდა პანდუსი. ექსპერტმა აღნიშნა,რომ მათ კიბის უჯრედის ადაპტირებული გარემო არ უნახავთ.

დაწესებულების იურისტის განცხადებით, სკოლის შენობა იყო არაორდინალური, თითოეულ სართულს ჰქონდა გარედან დამოუკიდებელი შესასვლელი. მისი თქმით, პანდუსის გარეშეც შესაძლებელი იყო ყველა სართულზე მოხვედრა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა მიმართა ექსპერტებს კითხვით, გაეცნენ თუ არა ხელშეკრულებებს, რომელებშიც იქნებოდა გაწერილი სარემონტო სამუშაოების დასრულების თარიღი.

ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით, აღნიშნული ხელშეკრულება მათ არ უნახავთ ვიზიტის განხორციელების პერიოდში და დამატებით აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოები სკოლაში ინტენსიურად და სწრაფად მიმდინარეობდა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებიც სკოლას ჰქონდა ერთ-ერთ კომპანიასთან დადებული, სარემონტო სამუშოების სრულად დამთავრების თარიღად განსაზღვრული იყო 15 აგვისტო.

საბჭს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, კლასებში ხომ არ იყო კამერები დამონტაჟებული.

სკოლის დირექტორის განცხადებით, კლასებში კამერები არ იყო დამონტაჟებული.

ამის შემდეგ, საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტებს კითხვით, რამდენად იყო დაკმაყოფილებული სკოლაში ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სრულად აღჭურვილი იყო ექიმის კაბინეტი აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად. მისი თქმით, სკოლაში მოწყობილი იყო საიზოლაციო ოთახიც.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ კომპლექსური დავალებების ბაზის შექმნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი თავისუფალი წვდომის ინტერნეტ რესურსი იყო კომპლექსური დავალებების, მათ შორის დიდი ბაზა შექმნილი იყო გაეროს ბავშვთა ფონდის და განათლების კოალიციის მხარდაჭერით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც და მათ დაადასტურეს, რომ შეფასების შედეგად, სკოლის რესურსები აკმაყოფილებდა მათ მიერ დაფიქსირებულ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მწვანე სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ამასთან, საბჭომ მიმართა შუამდგომლობით დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა სკოლას ცენტრში წარმოედგინა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,

კერძოდ, მიღება-ჩაბარების დოკუმენტ(ებ)ი), ექსპერტიზის დასკვნა და ფოტო-ვიზუალური მასალა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებები, რაც ექსპერტთა დასკვნაში დასრულების პერსპექტივის კონტექსტით იყო მოხსენიებული, მათი დასრულების ფაქტიც დოკუმენტურად დადასტურებულიყო სკოლის მიერ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მწვანე სკოლას (ს/კ 404587185) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.

3. ,,ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N797125 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ,,ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N797125 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი იყო არასწორად მითითებული.
შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში და დაკორექტირებულიყო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N797125 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N797125 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას (ს/კ 204571588) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 აგვისტოდან.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან